

# კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №2  
2019 წლის 18 იანვარი

ქ. კასპი

## კასპის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების შექმნისა და მათი საზღვრების დადგენის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-4 მუხლის მე-3 პუნქტისა და 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

### მუხლი 1

კასპის მუნიციპალიტეტის ფარგლებში შეიქმნას, კასპის მუნიციპალიტეტის შემდეგი ადმინისტრაციული ერთეულები:

- ა) ქალაქ კასპის, ადმინისტრაციული ერთეული (ქალაქი კასპი, სოფელი მიქელწყარო);
- ბ) დოესის ადმინისტრაციული ერთეული (სოფელი დოესი, სოფელი გრაკალი);
- გ) ხოვლის ადმინისტრაციული ერთეული (სოფელი ხოვლე);
- დ) ზემო ხანდაკის ადმინისტრაციული ერთეული (სოფელი ზემო ხანდაკი, სოფელი კალოუბანი);
- ე) თელიანის ადმინისტრაციული ერთეული (სოფელი თელიანი, სოფელი სასირეთი);
- ვ) მეტეხის ადმინისტრაციული ერთეული (სოფელი მეტეხი, სოფელი ბარნაბიაანთკარი, სოფელი სადგური მეტეხი);
- ზ) ქვემო გომის ადმინისტრაციული ერთეული (სოფელი ქვემო გომი, სოფელი ნიაბი, სოფელი ბორტა);
- თ) ახალქალაქის ადმინისტრაციული ერთეული (სოფელი ახალქალაქი, სოფელი ზემო ჩოჩეთი, სოფელი თემისხევი, სოფელი ახალსოფელი, სოფელი ჩაჩუბეთი, სოფელი კაპრაშვიანი, სოფელი გარიყულა, სოფელი ერთაწმინდა, სოფელი რკონი, სოფელი ჭყობიანი);
- ი) ახალციხის ადმინისტრაციული ერთეული (სოფელი ახალციხე, სოფელი ნოსტე, სოფელი მთიულთუბანი, სოფელი გოსტიბე, სოფელი ცხავერი);
- კ) კავთისხევის ადმინისტრაციული ერთეული (სოფელი კავთისხევი, სოფელი ქვემო ჩოჩეთი, სოფელი თვალადი, სოფელი ეზატი, სოფელი გუდალეტი, სოფელი ქებაანი, სოფელი წიფორი, სოფელი ქვემო ხანდაკი, სოფელი მირიანი, სოფელი ვარჯაანი);
- ლ) წინარეხის ადმინისტრაციული ერთეული (სოფელი წინარეხი, სოფელი თელადგორი, სოფელი გომი-ჯვარი, სოფელი ლავრისხევი, სოფელი იდლეტი);
- მ) აღაიანის ადმინისტრაციული ერთეული (სოფელი აღაიანი, სოფელი ხიდისყური, სოფელი საქადაგიანო);
- ნ) ოკამის ადმინისტრაციული ერთეული (სოფელი ოკამი, სოფელი ფერმა, სოფელი ჩანგილარი, სოფელი თეზი);
- ო) ლამისყანის ადმინისტრაციული ერთეული (სოფელი ლამისყანა, სოფელი ხვითი, სოფელი თვაურები);
- პ) სამთავისის ადმინისტრაციული ერთეული (სოფელი სამთავისი, სოფელი ბოჭამი, სოფელი თოგოიანი, სოფელი იგოეთი, სოფელი მრგვალი ჭალა);



ჟ) ქვემო ჭალის ადმინისტრაციული ერთეული (სოფელი ქვემო ჭალა, სოფელი ახალშენა, სოფელი საკორინთლო, სოფელი გორაკა, სოფელი პანტიანი, სოფელი ვაკე, სოფელი გამდლისწყარო);

რ) კოდისწყაროს ადმინისტრაციული ერთეული (სოფელი კოდისწყარო, სოფელი ზადიანთკარი, სოფელი ყარაფილა, სოფელი სარიბარი, სოფელი ჩობალაური, სოფელი ნიგოზა, სოფელი ზემო რენე, სოფელი ქვემო რენე).

## **მუხლი 2**

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „კასპის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების შექმნისა და მათი საზღვრების დადგენის შესახებ“ კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 21 დეკემბრის №36 დადგენილება ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge); 31/12/2018; 010250020.35.149.016389).

## **მუხლი 3**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

კასპის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

დავით ლეონიძე

